ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
განკარგულება

განკარგულება:**g-13. 13230583**
თარიღი:**27/02/2023**

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირების შესახებ

,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და ,,საქართველოს საარჩევნო კოდექსი'' საქართველოს ორგანული კანონის 46-ე მუხლის მე-2 და მე-4 პუნქტების შესაბამისად,

1. ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საარჩევნო სააგიტაციო მასალების (პლაკატების) განთავსების რეგულირებასთან დაკავშირებით**:**

ა) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოიყოს, ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტები (შენობა-ნაგებობები) დანართის შესაბამისად;

ბ) საარჩევნო სუბიექტებმა უზრუნველყონ საკუთარი სააგიტაციო მასალების გამოკვრა და გამოფენა იმ ფორმით, რომ დაცული იქნეს წინასაარჩევნო კამპანიაში (აგიტაციაში) მონაწილე ყველა საარჩევნო სუბიექტის თანაბარი შესაძლებლობა-ისარგებლოს სააგიტაციო მასალის გასაკრავად და გამოსაფენად განკუთვნილი ადგილ(ებ)ით;

გ) საარჩევნო სუბიექტს უფლება აქვს გააკრას საარჩევნო პლაკატი შემდეგი ზომებით: სიგრძე არა უმეტეს 60 სმ, სიგანე არაუმეტეს 42 სმ (A2 ფორმატი);

დ) ამ განკარგულებით განსაზღვრული მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტების გარდა, საარჩევნო სააგიტაციო მასალები შეიძლება გამოიფინოს კერძო მფლობელობაში არსებულ შენობა-ნაგებობებსა და სხვა ობიექტებზე, მათი მესაკუთრეების ან მფლობელების თანხმობის შემთხვევაში;

ე) საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსება აკრძალულია ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე:

ე.ა) საკულტო ნაგებობებზე (ეკლესია-მონასტრები და ნებისმიერ კონფესიას მიკუთვნებული საკულტო დაწესებულებების შენობა-ნაგებობებზე),

ე.ბ) „კულტურული მემკვიდრეობის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განსაზღვრული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მქონე შენობა-ნაგებობებზე,

ვ) შენობების ინტერიერსა და ექსტერიერში, რომლებშიც განთავსებულია:

ვ.ა) სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოები და სხვა ნებისმიერი სახელმწიფო დაწესებულება (მისი სტრუქტურული ერთეული, აგრეთვე საჯარო სამართლის იურიდიული პირი),

ვ.ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები (ახალციხის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული შენობები; ახალციხის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებული კერძო სამართლის იურიდიული პირი),

ვ.გ) ახალციხის რაიონული სასამართლო,

ვ.დ) სამცხე- ჯავახეთის საოლქო პროკურატურა,
ვ.ე) საქართველოს თავდაცვის და შინაგან საქმეთა სამინისტროების სტრუქტურული დანაყოფები;
ზ) გარე განათების ბოძებზე;
თ) საგზაო ნიშნებზე.

2. საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი ადგილების (ობიექტების) თაობაზე ინფორმაცია გამოქვეყნდეს ახალციხის მუნიციპალიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე www.akhaltsikhe.gov.ge., გამოცხადდეს საჯაროდ.

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ახალციხის რაიონულ სასამართლოში. (მის: ქ.ახალციხე, მებაღიშვილის ქ.N60ᵃ.)

4. განკარგულება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

დავით ლომიძე

ახალციხის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ახალციხის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, საარჩევნო სააგიტაციო მასალების განთავსებისათვის გამოყოფილი, მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ობიექტები		
მინაძე	1	წითელი ხიდის მოაჯირები;
	2	მგზავრების მოსაცდელი.
ჭაჭარაქი	1	ყოფილი კლუბის ფასადი.
	2	მგზავრთა მოსაცდელი